№ 772 შაბათი, 13 მარტი 1896—1899 შაბათი, 13 მარტი. № 772

…ვამბა და რედაქცია
…ლისი, სასახლის ქ.,
…-აზნაურთა ქარვასლა
…-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
…ამართავენ რედაქციის დილის
… საათამდე და საღამოს 6—7
… ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
…მოუწერავ წერილებს რე-
…დაქცია არ ბეჭდავს.

…პირ მოლაპარაკება რედაქ-
…თან შეიძლება ყოველდღე.
…ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეორეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
…აზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან.,

…. ანნა ანდრიას ასული რატიშვილისა, ბარბარე ანდრიას
…ული ავალიშვილი, ელენე ისოების ასული ხერხეულიძისა
… თავ მიხეილ გიორგის ძე რატიშვილი გულითადის მწუხა-
…ბით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირ-
ველ ორნი დედისა, მეორენი დიდამთილისა

**კნ. სოფიო ხერხეულიძისა**

განსვენებულს დაასაფლავებენ ს. ქსოვრისში 13 მარტს.

გასტროლები ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილისა

## ქართული თეატრი

მხოლოდ სამი წარმოდგენა

კვირას, 14 მარტს

…ართული დასისაგან, ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილისა და ვ. აბა-
შიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

**ცხოვრების გმირი**

დრამა 3 მოქ. თარგ. ან. მეძმარიაშვილისა.

II

პირველად ახალი პიესა

**მშვენიერ ელენეს მაძიებელნი**

ფარსი 2 მოქ. გადმ. ავქს. ცაგარელის მიერ.

მოთამაშენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, გა-
რელი, წერეთელი, ვიშაკიძე; ბ.ბ. ალექსეევ-მესხიშვილი,
აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი,
შათირიშვილი, თუთბერიძე, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორი ალექსეევ-მესხიშვილი, გამგე ვ. აბაშიძე.

გასტროლები ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილისა

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

…იღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს
და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით
…12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

…ოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
…აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-
…, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
…ვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—10)

…ურნალო და ამბულატორია

…. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

### კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

**ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლების ორის წლის კურსის მაგივრად სამ წლიან კურსის დაწესებულების შესახებ.**

უწმიდეს სინოდის 1898 წლის 28 დეკემბრისთვიდამ—4 ნოემბრამდის მე-4221 ნომრით განჩინების აღსასრულებლად, ობერ პროკურორს ჰქონდა ბედნიერება გამოეთხოვა უმაღლესი მის იმპერატორებით უდიდებულესობის ნებართვა იმის შესახებ რათა, ერთკლასიან რუსულ საეკლესიო სამრევლო სკოლებში დაწესებულ იქმნეს სწავლების სამწლიანი კურსი, ორწლიან კურსის მაგივრად, და სხვა ხალხთა ასეთსავე სკოლებში კი სწავლების ოთხწლიანი კურსი და ამის მიხედვით რათა შეცვლილ იქმნეს მეხუთე მუხლი უმაღლესად დამტკიცებულის 13 თიბათვეს 1884 წ. საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდებისა, ისე კი, რომ უწმიდეს სინოდთან არსებულ სასწავლებელთ საბჭოს მიეცეს უფლება ხსენებულ ნებართვის მიღების შემდეგ, ის სასწავლო მასალა, რომელიც ნაჩვენებია ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამაში, გაანაწილოს ამის თანახმად სამი და ოთხი წლისთვის. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ ინება 24 ქრისტეშობისთვეს 1898 წ. საკუთარი ხელით დაწერა ამ საგნის თაობაზე ობერ-პროკურორის ყოვლად-უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე: „თანახმა ვარ".

## ახალი ამბავი

⁂ **თელავში გამართულ ბალის შემოსავალი.** იმ ბალის მთელი შემოსავალი, რომელიც გაიმართა თელავში 1899 წლის 6 იანვარს, თელავის ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილების სასარგებლოთ, უდრის 268 მან. და 77 კ. (ბილეთების გაყიდვიდამ 207 მან. და 72 კ., ბუფეტიდან და ქაღალდის თამაშიდან—61 მ. და 5 კ). გასავალი: განათებაზე, აფიშებზე, მუსიკაზე და სხვ. უდრის 66 მ. და 51 კ. წმინდა შემოსავალი 202 მ. და 26 კ. ჩაიწერა კასის წიგნში.

⁂ **პრემიების გაცემა საქარის სანერგეში.** როგორც ისმის, საუკეთესო პრაქტიკანტებს და მყ ნობელთ, რომელნიც ამა წლის აპრილში სწავლის კურსს დაამთავრებენ საქარის ამერიკის ვაზების სანერგეში, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის დადგენილებით, მიეცემათ პრემიები ფულად და საბაღოსნო იარაღები.

⁂ **ტფილისის სამოსამართლო პალატის** უფროსი თავმჯდომარე სენატორი ს. ბ. ვრასკი 10 მარტს დაბრუნდა პეტერბურგიდან.

⁂ **ახალი დანიშნულება.** 39 ქვეითი ჯარის უფროსი გენ.-ლეიტ. თავ. მ. კ. ამირაჯიბი დანიშნულია კავკასიის ახლად შემდგარ ჯარის კორპუსის კომანდირად.

⁂ **ბოქაულის ჩიქოვანის დასაფლავება.** გუშინ, 12 მარტს, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს ყაჩაღებთან ბრძოლის დროს მოკლულ ბოქაულის ერემია ანტ. ჩიქოვანის გვამი.

⁂ **ჩაის ყანის გადიდება.** ოზურგეთის მაზრიდან იუწყებიან, რომ იქაური მემამულე თავ. ა. მ. ერისთავი, რომელმაც შარშან ოზურგეთის მაზრის სოფ. გორაში პატარა ჩაის ყანა გააშენა, ამ ჟამად

შესამჩნევად აფართოებს მას, რადგან ჩაის მცენარემ ამ ყანაში საკმაოდ იხეირა.

** ყვავილი ქუთაისში. „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდან სწერენ, რომ იქ ამ ჟამად გავცელებულია ყვავილი. ავადმყოფობას უმსხვერპლნია არა მარტო ბავშვები, არამედ დიდებიც. 10 მარტს, ქვა-ფენილზე ერთი დუქნის წინ ეგდო ერთი მკერვალის ლევარსამ ბოჭორიშვილის გვამი, რომელიც ყვავილით გარდაცვალებულიყო. ასეთ პირობებშიო, დასძენს კორესპონდენტი, რაღა თქმა უნდა, ეს ავადმყოფობა აქ სულ უფრო ვრცელდებაო.

** ბრმა ბავშვების სკოლის აგება. 10 მარტს ავლაბარში დაიწყეს ბრმა ბავშვების სკოლისათვის საკუთარი შენობის აგება.

** აქციზის გაწერა. 10 მარტს, ქალაქის გამგეობაში გააწერეს სასტუმროების პატრონებზე საშუალო აქციზი ქალაქის სასარგებლოდ. გადასახადის 2 რაოდენობა უდრის 4,536 მან. 11 აპრილს კი გამგეობამ გააწერა საშუალო სააქციზო გადასახადი ბუფეტების პატრონებზე და გადასახადის რაოდენობა გამოიხატა 2,592 მან. ხარჯის განსაჩივრებისათვის გამგეობამ 10 დღის ვადა დაადგინა.

** შაქრის ჭარხლის გაშენება. კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მალე მიიღებს კიევიდან შაქრის ჭარხლის თესლს, რომელსაც დაურიგებს გორის მაზრის, ლაგოდეხის და განჯის გუბერნიის ზოგიერთ მეურნეთ, რომ მათ ეს თესლი საცდელად დასთესონ და დაიმუშაონ.

** ჩხუბი ერთ შაურზე. 11 მარტს, ნიკოლოზის ქუჩაზე, სარქისოვის ტრაქტირში მუშებს აბრამ ალდიშევსა და აკოფ აბრამოვს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში ნასვამის ფულის გადახდაზე, რომელიც უდრიდა სულ ერთ შაურს. მოჩხუბრები გაცხარდნენ, მივარდნენ ერთმანერთს და ალდიშევმა სრულიად მოულოდნელად იძრო დანა და დასცა აბრამოვს საფეთქელში. აბრამოვი იქვე დაეცა და შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმის შემწეობით ავადმყოფის მორჩენა საეჭვოა. ალდიშევი პოლიციამ შეიპყრო.

** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევამ დანიშნა 21 მარტისათვის წლიური საზოგადო კრება თანამდებობის პირთა ასარჩევად.

** პრაქტიკული საბაღოსნო კურსი. რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება მართავს პრაქტიკულ კურსს ნაყოფების მოყვანის შესახებ; მეცადინეობა იქმნება ყოველ-გვარ შაბათობით საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$ საათამდე, ა. ე. კლაუსენის ხელმძღვანელობით კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურში. გარდა ამისა, გაიმართება კითხვა მებაღეობის შესახებ ყოველკვირაობით განყოფილების სადგომში ნაშუადღევს 1 ს საათიდან.

** შემწეობის აღმოჩენა. კავკასიის მთავარ მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზემ 100 მან. დანიშნა ბოქ. ჩიქოვანთან ერთად მოკლულ ვსადნიკის დასასაფლავებლად.

** საჭირო განმარტება. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ამ ჩემ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ზოგიერთებს ჰგონიათ მე ვმეთაურობდი იმ სამარცხვინო წარმოდგენას, (სამშობლო) რომელიც იყო გამართული გორში, ვიღაცა მითომ და სცენის მოყვარეთაგან, ამის გამო გთხოვთ გამოუცხადოთ რომ არამც თუ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია იმ სამარცხვინო წარმოდგენაში, არამედ დღემდის არც-კი ვიცოდი გორში წარმოდგენა ყოფილა თუ არა.

ქართული თეატრის სუფლიორი ნიკ. გალუსტოვი

** ქ. გორი. ასეთ ბიბლიოთეკის უქონლობაზე დიდად საკვირველი და სამწუხაროა გორში ბიბლიოთეკის გაუხსნელობა. საკვირველია თუ ამოდენა ქალაქს რა უშლის ბიბლიოთეკის გახსნას. დავიჯეროთ სიღარიბე? არა. თუ-კი გორში ყეინობას დადიან დაბალ ხალხისგან ამორჩეული კაცები და დიდის მეცადინეობით არც ერთ გამვლელ-გამომვლელს და მცხოვრებელს ფული თუ არ გამოართვეს ისე არ გაუშვებენ; ნუ თუ გორს არ შეუძლიან სწავლისთვისაც იმის მეოცედი მაინცა, რაც ყეინობას კინტო ხალხის დასათრობათ იმეტებს, ბიბლიოთეკის დასაარსებლათაც გაიმეტოს? ყველა საქართველოს ქალაქებში და თითქმის სოფლებშიაც ბიბლიოთეკა არის და გორს კი ჯერ ამისთვის ყურიც არ გაუბერტყნია.

დ. ლ—შვილი.

** ხონი პარკის გაზიდვის საქმე. გეცოდინებათ, რომ ხონის მახლობლად სოფ. გუბში არსებობს აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, რომლის უმთავრეს მართველად ირიცხება ჩვენის საზოგადოებისათვის არგად ცნობილი ნესტორ წერეთელი.

ამ ზამთრის პირს ბ. ნესტორ წერეთელი საზღვარ გარეთ წავიდა და იქ დაათვალიერა აბრეშუმის საქსოვი ქარხნები. ამ მოგზაურობამ ბ. ნესტორ წერეთელს ბევრი რამ შესძინა და ამით საზოგადოების საქმეთა წარმოებას წლიურათ 3000 მ. შეემატა. ეს შემატება მოხდა შემდეგის გარემოებიდამ: აქამდის საზოგადოების მეთაური არ იყო პრაქტიკულათ საკმაოდ გამოცდილი, ამიტომ საზოგადოება აქამდის თავის პარკებს აქვე ჰყიდდა სომხებზე და სხვა მოსულ ვაჭრებზე, რომლებიც პარკს მეტათ იაფათ ყიდულობდნენ. დღეის შემდეგ კი საზოგადოება პირდაპირ ევროპის ვაჭრებთან იქონიებენ საქმეებს და მისთვის საჭიროანი აღარ იქმნებიან შუამავლები. ამ გარემოებამ მისცა საზოგადოებას ერთის მხრით წარმატება და მეორეს მხრით საქმის კარგათ გაცნობა, უფრო კარგათ წარმოება.

აქამდის მოსული ვაჭრები ყიდულობდენ ამათგან იაფად და სამზღვარ გარეთ გაცილებით აქ ნაყიდ ფასზე მეტათ ძვირათ ჰყიდდნენ, რის გამო მათ კარგი მოგებაც რჩებოდათ. ამას შემდეგ საზოგადოებას მეტი სახსარი მიეცემა თავის ნაწარმოების ხელსაყრელად გასაღებისათვის.

** ს. ფარცხმა (გურია). აგდრები და ავადმყოფობა. იანვარი სულ კარგი დარებით გათავდა, თოვლი ორჯერაც არ მოსულა მაგრამ თებერვალმა ცუდი დღე დაგვაყენა სულ წვიმებია, ქარიშხალი და მასთან ავადმყოფობაც მოეფინა სოფელს, ხშირია ყვავილი, კისერა, ინფლუენცა და სხ. თითქმის ყველა ოჯახში არის ორი სამი ინფლუენციით ავადმყოფი; სოფელი ფარცხმა დღესაც მოკლებულია განათლებას. ხალხს რომ რამოდენიმე მაინც გულ-შემატკივარი წინამძღოლი ყავდეთ, ფარცხმაში არ იქნება გავრცელებული სხვა და სხვა ცრუ-მორწმუნოება, იქნება საკმაო სკოლები, გზები და სხვ.. ავდრიან დღეში ჩვენში ეკკლესიაზედ გასვლა და წირვის მოსმენა უგზოობის გამო შეუძლებელია, უმეტეს მანდილოსნებისთვის და მოხუცისთვის. ადგილობრივი მოძღვრები რომ შრომობდნენ, ყველა საეკკლესიო გზები კარგი გაკეთებული იქნება, რადგანაც ხალხი მეტად დაიჯერებს რჩევას და წინადადებას მმ. მოძღვრებისას, ვიდრე სხვისას.

— ცრუ-მორწმუნოება. ბევრ ნაკლულევანებასთან სამწუხაროთ, ჩვენში რამდენიმე ოჯახებში ცრუ მორწმუნოება გავრცელდა, აი მაგალ. თუ ერთ ოჯახში გახდა ავად კაცი ან ქალი, სიღარიბით და უგზობით ავადმყოფებს არ შესაფერი მოვლა და ექიმ[...] რის გამო ავადმყოფობა ძლ[...] დება, როდესაც მორჩენა შეუ[...] ბელია, მიმართავენ მკითხავს, [...] თხავი ეუბნება, კუდიანებს [...] ჭამიაო, უთითებს ხელს, ან [...] ოჯახში მყოფზედ, ან ახლო[...] ზობელზე და ეუბნება, ამა [...] წმინდანს უნდა შესწირო ძ[...] ხარი, ცხვარი და სხვ. რასა[...] ველია, ამ წესით ავადმყოფის [...] რჩენა შეუძლებელია, ხშირათ [...] ვხვედრივარ, ეკკლესიაზე გამ[...] ავადმყოფის პატრონი და მ[...] ლის ნებართვით იღებს ხ[...] ხატს და ვინც რომ მისი ც[...] ან შვილი გათვალა და შ[...] გადასცემს ხატზედ, მღვდელი[...] ერიც ამინს ეუბნება. ხშირი [...] ვლენაა, რომ ავადმყოფი უქ[...] ბით და უპატრონობით ვერ [...] ბა და ესალმება წუთი სოფ[...] პატრონი შეწამებულს კუდი[...] უხტება ოჯახში და სიკვდ[...] ემუქრება, უკეთუ მისი ავად[...] ფი არ გაუნთავისუფლებია. ს[...] ლო ავადმყოფის პატრონს [...] სცოდნოდა და ან ვინმეს შ[...] ნებია მისთვის, რომ კუდია[...] არ სუფევს და მის ავადმყო[...] თვის საჭიროა თავის დროზედ [...] მობა და მოვლა, კარგი იქნებ[...] და მათი ავადმყოფები მორჩ[...] დნენ და ერთი მეორეში ჩხ[...] და უბედურება არ მოუვიდო[...] ბ. მკითხავი ფარცხმაშიაც ბ[...] დეა. ადგილობრივი მოძღვ[...] იზამს, რომ აუხსნას მრევლს [...] აგონოს, რომ კუდიანობა არ [...] და ავადმყოფებისთვის საჭ[...] თავის დროზედ მოვლა და გ[...] ბა და არა უმართლოთ კუდ[...] ძახილით მეზობლის ტანჯვ[...] წვალება და მატყუარა მკ[...] ექიმბაშებს აეკრძალება შემ[...] მაინც მისი უკუღმართი და [...] ძრწუნებელი ხელობა.

** ს. ასკანა. შემნახველ-გ[...] ხებელი ამხანაგობის წლიური [...] ბა 7 მარტს. დაარსებიდგან [...] ამხანაგობისა დაწესებულია, [...] ამხანაგობის ყოველივე ანგა[...] შესწორებული კრება უნდა [...] დეს ყოველ წლივ იანვრის [...] ველ რიცხვებში. წელს ორი [...] ვრისთვის დანიშნული კრება [...] ღაცა უსახელო მიზეზისა გამ[...] დადებულ იქმნა ოცდა თერ[...] იანვრისათვის. დანიშნულ [...] შეიკრიბა საკმაო ნაწილი სა[...] დოებისა და ს. ჰეიშვილის [...] მჯდომარეობით კრება გა[...] ჩვენ სულ-განაბული ვუგდე[...] ყურს, თუ რის კითხვას ა[...] და პირველად ბატონი თავ[...] მარე, მაგრამ რაღაცა ჩვე[...]

არის მიზეზებისა გამო ის
დგა თავის იდგილიდგან და
გაბრძანდა, ამით კრებაც
ა. გამოგვიცხადეს, რომ
სამს თებერვალს მობრძან-
მოაღწია დანიშნული დღეც
ცებ მივიღეთ „ანონსი“,
რება გადადებულია შვიდი
ათვისო. ესეც შვიდი მარ-
იყო ნათქვამი, რომ კრე-
დაწყებულიყო ათს საათ-
დროსათვის ასკანის სკო-
ენობას მოაწყდა ბლომა ნა-
ამხანაგობის წევრებისა; მა-
ლთა რიცხვი კიდევ ერთი
მეტი იყო. ხალხის დარბაზ-
ოვსებისათანავე ბ. ს. ჰეი-
გამოაცხადა, რომ თავ-
რე აირჩიეთო. აქ ჩვენ უნ-
ყოდეთ, რომ ს. ჰეიშვილი
ოია თავმჯდომარედ სამი
ვადით, და მისაწვევ ბარა
მისი ხელი იყო მოწერი-
გორც კრების თავმჯდომა-
საზოგადოება სთხოვს ს.
ოს, რომ ის დაბრძანდეს
ომარის სკამზედ.
ეამშვილი. (გამგე) ბატონე-
ნ თავმჯდომარე არჩეული
სამი წლის ვადით. ჯერ ეგ
გასულა. არც ერთს წი-
ებაზე ჩვენ არ გვქონია
კი შესახებ იმისა, თუ ვინ
რჩია თავმჯდომარედ. მაშ
ეზია, რომ ამ საგანმა დღეს
ლაპარაკი გამოიწვია? შეი-
მიზეზი აქვე იმალებოდეს...
ივიწყებთ მასთან ბ. თავ-
რის საქციელს ოცდა თერთ-
ნვარს...
ამშვილი; ბატონებო! მე
უკეთ მიმაჩნია, რომ ყო-
რებაზე ირჩეოდეს ახალი
ომარე. ამის ნებას ჩვენ გვა-
ვენ მიერ უკვე შეცვლი-
ლი კანონისა.
ნაძე. (საბჭოს წევრი) ყოვე-
ლაპარაკი ამ საგნის შესახებ
დროს დაკარგვაა. არც
აქვს ახალი თავმჯდომარის
ა, რადგან ჩვენ მიერ შე-
მუხლი ჯერ არ დაუმ-
ია სამინისტროს.
ში დიდი ყვირილია—არა-
რ ისმის, დიდი ხნის ლაპა-
შემდეგ ს. ჰეიშვილი ჯდე
ჯდომარის სკამზე. რადგან
თავმჯდომარის არჩევამ ამ-
რო მოითხოვა, ხალხი ყვი-
ბატონო, შინ როდის გვი-
რომ არ გინდათ, რომ ამა-
გაგვათენებიო?“ და სხვ.
ომარე აწყნარებს ხალხს,
გამგეობის წევრი კითხუ-
წარსული წლის ანგარიშს.
ტისტიკური ცნობები საინ-
ონი არ არიან; უნდა ალვ
მხოლოდ, რომ წლის
ობაში ამხანაგობას კარგად

უმოქმედნია. წლის მოსაგები 970 მანეთს აღემატება.

თავმჯდომარე: აბა, ეხლა მოგვისმინეთ. წინად ნათქვამი გვქონდა კასის ყიდვა. ეს შრომა იკისრა ბ. კ. ასათიანმა; აბა მოვუსმინოთ, რას იტყვის ეს კაცი.

კ. ასათიანი: ბატონებო! თქვენგანგან მონდობილი საქმის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვნახე კასა აქ დაბა ხიდისთავში: ეგ კასა სიმძიმით თოთხმეტი ფუთია, ორი გასაღები აქვს. ფასი ამ კასისა არის თუთხმეტი თუმანი; მაგრამ აი რა პირობებით გვაძლევენ მას ჩვენ: წამოღებისთანავე უნდა მივცეთ ათი თუმანი. ერთი წლის შემდეგ, თუ ჩვენ კასა მოგვეწონება კიდევ გავუთავებთ ხუთ თუმანს, თუ არა და ისევ კასას მივცემთ, და ჩვენი ასი მანეთი უკანვე დაგვიბრუნდება. (ხალხში ყვირილია: „ღმერთმა კარგი დაგმართოს, კარგი ყოფილა!“)

თავმჯდომარე: ბატონებო! გაგონება იყოს! მე ჩემს აზრსაც მოგახსენებთ: ერთი უბედურება რომ მოხდეს ისეთი, როგორც მაგალითად წელს იყო ასკანში*), მაშინ ყოველივე ჩვენი ვექსილები თუ ფულები ერთიან დაგვეღუპება, აქკი კასა დიდს სამსახურს გაგვიწევს; ამას გარდა აქ არავითარი სიყალბე არ შეიძლება, რადგან კასის ორი სხვა და სხვა გასაღები სხვა და სხვა პირებს ექნება ჩაბარებული, და ორივე თუ ერთად არ არიან, ისე ერთი კასას ვერ გააღებს.. (ხმები — უმრავლესობა — „კარგი ყოფილა, ვიყიდოთ, ვიყიდოთ!“)

თავმჯდომარე ძალიან კარგი. კითხვა გადაჭრილია—კასა უნდა ვიყიდოთ. ეხლა ეგ მიბრძანე, რით ვიყიდოთ ეგ კასა? ამ წლის მოსაგებიდგან, თუ სხვა რაიმე სახსარით? (საზოგადოებაში ორ გვარი აზრია—ზოგი იძახის: „ამ წლის მოსაგებითო“; ზოგი კი: „ამ ფულს ნუ მოვიკლებთო!“ ზოგი ამასაც კი გაიძახის—„რა გვეკასებაო“).

ე. ნანაძე: ვინაიდგან გარდაწყვეტილი გვაქს, რომ გასული 1898 წლის მოსაგები ხალხს დაურიგდეს, ამიტომ ჩემი აზრით უკეთესია, რომ ამ ფულს ეხლა არაფერი არ მოაკლდეს და ისე მიეცეს ხალხს. რაც მეტი ფული ერგება ეხლა თვითეულს წევრთაგანს, რაც მეტს სარგებელს დაინახავენ თავიანთ წარსულის წლის მუშაობაში, იმდენად მეტი ხალისით მოეკიდებიან მომავალს საქმეს. ამიტომ ჩემი აზრი გახლავსთ, რომ ეგ ფული ეხლა უნაკლულოდ მიეცეს ხალხს, და კასის საყიდი ფული კი ვეძიოთ 1899 წლის მოსაგებში. (ხალხი ერთბაშად: „მართალია, მართალი,—სრული ჭეშმარიტებაა!“).

თავმჯდომარე: მაშ, ბატონებო, ესეც გადაწყდა: კასა ვიყიდოთ 1899 წლის მოსაგებიდგან. ეხლა ერთი კიდევ: ის კასა ვიყიდოთ, რომელიც ბ. კ. ასათიანმა ბრძანა, თუ სხვა რომელიმე?

ე. ნანაძე. ჩემი აზრი ასეთია, რომ არჩეულ იქმნას ეხლავე კასის მყიდველი კომისია.

ყ. ნინიძეს აზრს ხალხიც ეთანხმება და კომისიის წევრებათ ირჩევენ ხუთს კაცს.

*) წელს ვიღაცა ბოროტმა კაცებმა ცეცხლი წაუკიდეს ასკანის სკოლისა და კანცელარიის შენობებს, მაგრამ მალე გაუგეს და უბედურება თავიდგან აიცილეს

ავტ.

## სამკურნალო ცნობა

შაქრის ავადმყოფობა. ყველა საღი ადამიანის სხეულში მოთავსებულია შაქრის ნივთიერება არც ნაკლებ 0, 1 და არც უმეტეს 0, 15 პროცენტისა. რამდენიც უნდა მოჭარბებული სასმელ-საჭმელი და ტკბილეულობა მიიღოთ, მაინც ადამიანის სისხლში აღნიშნული შაქრის ნივთიერება შეუცვლელად რჩება, ვიდრე ჯანსაღად იმყოფება. ამ მოსაზრებით კითხვა ებადება ადამიანს: საიდან იღებს სისხლი შაქარს და სად მიდის? შაქარს იღებს ადამიანის სხეული საჭმლებიდან და განსაკუთრებით სახამებლის ნივთიერებიდან, მაგალ.: პურიდან, კართოფილიდან, მწვანილეულობიდან, ფქვილეულობიდან და სხვა. რაწამს საჭმელი პირში ხვდება, მაშინვე მასში ერევა ნერწყვი, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ სახამებლის მაგვარ ნივთიერებას მაშინვე შაქრად აქცევს. შემდეგ საჭმელი ჩადის კუჭში იქ კი კუჭის სიმჟავის წყალობით, შაქრად გადაქცევი თვისება სრულიად ეკარგება. მიღებული საჭმელი კუჭიდან წვლებში გადადის იქ ერევა შიგ შეერთებული კუჭისა და წვლების სითხე. ამ სითხეს ძალიან მოჭარბებული თვისება აქვს სახამებლის ნივთიერებანი შაქრად აქციოს. და ამ წვლის მიღმა დიდი სისწრაფითაც მოქმედობს. აქედან შაქარი გადადის სისხლში ზემო ნათქვამის ზომიერებით. ყოველივე მუშაობა და სითბო, რომელიც ჩვენს სხეულშია შემუშავებული, ამცირებენ შაქრის ნივთიერებას, ისე რომ ყოველ წუთს სისხლი ხარჯავს შაქარს; მაშასადამე თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ უშაქროდ სისხლი ვერ შესძლებს ვერც ერთ წუთს. შაქრის სისხლში გადასვლაც ყველებელი უნდა იყოს. სწორედ ეგრეც ხდება. რაც უნდა მოჭარბებული სიტკბოება მივიღოთ, მაინც სისხლში გადადის იმოდენი, რამოდენიც მისთვის საჭიროა; ხოლო მოჭარბებული შაქარი ან ქონათ ხდება და ან გადადის ღვიძლში, იქ გროვდება და თუ რაიმე სხეულის მოთხოვნილება შეემთხვევა სწრაფად შაქრის ნივთიერებად კეთდება. როდესაც ძალდატანებითი შრომით, ან სიცხის გამო ადამიანის სისხლს შაქარი აკლდება მაშინვე ღვიძლიდან და ძარღვებიდან ეზიდება შაქარს, იმდონს რამდონიც მხოლოდ მის სამუშაოდ საჭიროა. საღ ადამიანს შარდშიაც გამოსდევს შაქარი, მაგრამ ძალიან მცირე და ძნელად შესანიშნავიც არის და თუ შესანიშნავად გამოსდევს, მაშან უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანი საღი აღარ არის.

აი როდესაც ადამიანი საღია ამ გვარათ მოქმედობს შაქარი სხეულში, ხოლო ხშირად ირღვევა ამგვარი ზომიერება და აღარც იმდენი შაქარი გადადის სისხლში, რამდენიც საჭიროა და შარდშიაც მოჭარბებული გამოსდევს. ამ გვარ სნეულობას უწოდებენ შაქრის ავადმყოფობას (сахарная болѣзнь или діабета). ერთბაშად შაქრის ნივთიერება ადამიანის სხეულში მატულობს 0,2—0,5%; შარდში გამოსდევს X1—3 პროცენტი შაქარი. მიღებული სასმელ-საჭმელი სრულიად სხვა ხასიათს იღებს; იგი სისწრაფით მოქმედობს და შაქრათ იქცევა. ადამიანი მაშინ დიდ გაჭირვებაში ვარდება. ამ შემთხვევაში უნდა შეინიშნოს რა დროს უფრო მოჭარბებული გამოსდევს შაქარი, როდესაც ადამიანი სახამებლიან ნივთიერებას რომ სჭამს, თუ ხორცეულს იმიტომ, რომ თვით შაქრის ავადმყოფობა ორგვარია: მძიმე და სუბუქი. როდესაც სახამებლის ნივთიერების მიღების შემდეგ ემატება შაქარი ადამიანი უფრო საშიში და მძიმეა, თუ ხორცეულის ზეგავლენით, მაშინ უფრო სუბუქი და ადვილი მოსარჩენია. როდესაც მძიმე ფორმისაა შაქრის ავადმყოფობა, მარტო შარდში გატანებით არ თავდება საქმე. ავადმყოფს საშინლად უხდება მთელი სხეული, სუსტდება, უხმება სრულიად ტყავი და ემატება შიმშილი და წყლის წყურვილი. რაც შეეხება მსუბუქ შაქრის ავადმყოფობას, თუ ავადმყოფმა რიგიანად დაიცვა ხორცის მიღების დიეტა, 2 3 დღეზე ქრება, თუმცა თუ ყურადღება არ იქონია შეიძლება მალე მძიმე სნეულებად გარდაექცეს. ზოგიერთი ექიმები შაქრის ავადმყოფობას სამ გვარად ანაწილებენ: მსუბუქი საშუალო და მძიმე. ამათი ერთმანეთის გასარჩევად ასე უნდა მოიქცეთ. უნდა აჭამოთ ავადმყოფს ხორცი, თუ 2—3 დღის შემდეგ შესწყდა შარდში შაქარი, მაშინ ის მსუბუქი იქნება, თუ ორ კვირამდის არ დაეკარგა საშუალო და თუ არავითარი ზეგავლენა არ იქონია, მაშინ კი უნდა დარწმუნდეთ, რომ მძიმე შაქრის ავადმყოფობასთანა გაქვთ საქმე.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

იქამდის მივაღწიე, რომ ჩემ თავს დავუმეგობრდი.

ვინც თავის თავის მეგობარია, ის მეგობარია მთელი ხალხისა

მკურნალს შეუძლიან ჯანმრთელობის

აღდგენა, მაგრამ მისი შექმნა კი არა.

—

როდესაც ადამიანი ბუნებას უახლოვება, იგი მაშინ ზეცაში ადის.

## ყურმოკრული საუბარი

— თქვენ სულ გეშინოდათ ჩემი ქალის შერთვა, იმ მოსაზრებით, რომ მე ძალიან კაპასი სასიდედრო გეგულებოდით, აი ეხლა ხომ დარწმუნდით, რომ მე ისეთი არა ვარ?

— დიახ, ეხლა ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ისეთი საშიში არა ყოფილა ტარტაროზის ნახვა, როგორც გვიწერენ.

## გასართობი

დედაკაცის რძის კარაქი. ერთმა ახალშენმა გერმანელმა აფთიაქში მიიტანა ერთი ჯიქა დედაკაცის რძის კარაქი და სთხოვა აფთიაქის პატრონს გაეყიდნა. ახალშენმა აუხსნა აფთიაქის პატრონს, რომ მე ნამდვილის წყაროდან ვიცი დედაკაცის რძით გაკეთებული კარაქი ჭრილობის უებარი წამალია. მეც ამ მოსაზრებით რამდენიმე დღე დავუწყე წველა ჩემს ცოლს, რომელსაც მოჯარებული რძე ჰქონდა; ჩავდე მაწვნათ შემდეგ შევდღვიბე და აი ეს კარაქი მივიღეო. აფთიაქის პატრონი მეტად გაჰკვირდა გერმანელის საქციელით და უპასუხა: არა ბიძიავ, ჯერ მეცნიერება მაგ წარმატებამდის არ მისულა და არ უცვნია სამკურნალო საშუალებათ დედაკაცის რძის კარაქი და მიტომ მაგის ყიდვა ჩემთვის საჭირო არ არისო.

## სხვა-და-სხვა ამბავი

მაიმუნების დასაფლავება. ერთმა ბოსტონელმა ქალმა დიდებულათ დაასაფლავა ამას წინად თავისი საყვარელი მაიმუნი. ეს მეტად საუცხოვო მაიმუნი იყო, ის ხშირად ესწრებოდა დიდკაცებს შეკრებულებაზე და ნაცნობებს თავაზიანად ართმევდა ხელს. მას სახელად ერქვა ჯეკო. ჯეკოს მშვენიერი და ძვირფასი კუბო გაუკეთეს, რომელსაც შიგნით თეთრი სატინა ეკრა, გარედან კი ცისფერი ხავერდი. ჯეკოს გვამიც სატინაში იყო ჩაცმული. დასაფლავებისა საზოგადოების დირექტორმა შემურა ჯეკოს გვამი. კუბოზე დაკრული იყო ვერცხლის ფიცარი, რომელზედაც ეჭედა სახელი „ჯეკო“. დასაფლავების დროს მთელი კუბო ურიცხვი ყვავილებით იყო მორთული, რომლებიც მაიმუნის მეგობრებს მოეტანათ. როცა კუბო მიწაში ჩაუშვეს, ყველა დამსწრენი მწუხარედ იდგნენ, ზოგიერთები კი თითქმის კიდეც სტიროდნენ. ჯეკოს ქალბატონის დარდი უზომო იყო. ეს ქალი თურმე ძეგლის დადგმას აპირებს მაიმუნის საფლავზე.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

10 მარტი.

**პეტერბურგი.** 10 მარტს ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ნიკოლოოზის კავალერიის სასწავლებელში.

**კიევი.** კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ლექციების კითხვა და პრაქტიკული მეცადინეობა უნივერსიტეტში შეჩერებულია საერო განათლების მინისტრის განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

**პარიზი.** გენერალმა ჟანიმ, რომელიც მედიატორეთ იყო არჩეული ლებრევოსა და დესტიეს შორის მომხდარ უსიამოვნების გასარჩევად, სცნო, რომ დუელისათვის საბუთი არა აქვთ-რა.

**რომი.** აქ მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზისძე.

11 მარტი.

**პეკინი.** ინგლისის, გერმანიის და ამერიკის ელჩებმა მიჰმართეს ძუნგლი-იამენს ნოტით, რომელშიაც თხოულობენ შანხიაში არსებულ უცხო სახელმწიფოთა უბნის გაფართოებას. საფრანგეთის დესპანმა უკანვე დაიბრუნა შანხიაში მყოფ საფრანგეთის ელჩის მოთხოვნილი იმ პირობით-კი, თუ გაფართოება, რომელზედაც აქ ლაპარაკია, საფრანგეთის კონცესიას არ შეავიწროებს.

**რომი.** ადმირალი გრენტი შაბათს Stramdoli“-ს გემით ჩინეთში მიდის.

**ხარკოვი.** დღეს, სამის დღის გარჩევის შემდეგ, ელისავეტგრადის მევახშეების საქმისა, ნაფიც მსაჯულთ დამნაშავედ სცნეს ბრალდებულნი. ოლქის სასამართლომ მიუსაჯა: მეიტუსს—ერთის წლით და 2 თვით ციხეში დაპატიმრება, გოლდფელდსა და დაშევსკებს—ირკუტსკის გუბერნიაში გაგზავნა, ლეშჩინსკის—8 თვით ციხეში დაპატიმრება. ფონ-ფინკს—ირკუტსკის გუბერნიაში გაგზავნა და პერელმუტერს—4 თვით ციხეში დაპატიმრება.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში და ეკლესიებში,

ცხოვრება ღირსისა დედისა

**თეოდორასი**

ალექსანდრიელისა

სურათით

მეორე გამოცემა, მორჩილის რაჟდენ ბარამიძის მიერ.

წიგნს შეიცავს 24 გვერდს და ღირს ერთი შაური (10—9)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ** торговой ... мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаим... хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе ... часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣ...

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и ... садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ... тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на с... 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) ... говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (... дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазина... автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—

1899. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** 18...

НА ЕЖЕДНЕВНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ, УЧЕНУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗ...

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

# СЫНЪ ОТЕЧЕСТВА

**годъ изданія 87-й** ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ **годъ изданія** ...

издаваемую Спб. Акціон. Обществомъ печатнаго дѣл... „Изда... подъ редакціей **А. К. Шеллера (А. Михайлова).**

Въ будущемъ году газета будетъ выходить при участіи Л. А. Ав... К. С. Баранцевича, В. В. П. П. Веймарна, Н. Г. Гарина (Михайло... М. Б. Городецкаго, П. В. Засодимскаго, И. Ивановича, С. Н. К..., Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Г. А. Мачтета, К. В. Назарьевой, И. Немировича-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. Пружанскаго, Э. Л... ова. Н. А. Рубакина, А. Саккарова, А. М. Скабичевскаго, М. С... нина, К. М. Станюковича, В. А. Тимирязева, А. М. Хирьякова, А. К... лера и др.

Въ ежедневныхъ нумерахъ газеты *„Сынъ Отечества“* помѣщаются: руководящія статьи и замѣтки, литературы науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутреннія телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, се... хозяйству, историческія статьи ... торгово-промышленныя и бирже... дѣнія, судебные отчеты, литера... театральныя и музыкальныя реце... бліографіи, біографіи и некрол... менныхъ общественныхъ дѣятеле... тонъ общественной жизни и бе... тика, русская, и иностранная.

КРОМѢ ЕЖЕДНЕВНЫХЪ НУМЕРОВЪ ГАЗЕТЫ, ГОДОВЫЕ ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**52 НУМЕРА ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ** печатаемыхъ ... **еженедѣльнаго журнала**, гдѣ помѣщается: историческіе и совр... романы, повѣсти, разсказы, стихотворенія научныя, новости и ... чаетъ болѣе:

**300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ:** портреты историческихъ ... менныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и с... ныя иллюстраціи, а также карикатуры, шахматныя, шашечн... и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ ... ныхъ литературныхъ произведеній и иллюстрацій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе съ доставкою ... на годъ—**8** р. на полгода—**4** р. на три мѣсяца—**2** р. на одинъ мѣс...

**ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ «СЫНЪ ОТЕЧЕСТВА»**

ВТОРОЕ ИЗДАНІЕ „Сына Отечества“ является не сокращеннымъ ... ніемъ большого изданія, а представляетъ собою самостоятельную газету, въ ... входятъ телеграммы, хроника и общеинтересный матеріалъ и въ которой имѣю... особые отдѣлы (сельско-хозяйственныя свѣдѣнія, научныя мелочи, обиходная ... тура и т. п.).

ВТОРОЕ изданіе представляетъ собою въ Россіи первое дешево... дневное изданіе съ иллюстраціями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на второе изданіе съ достав. и пер. по Росс...

На годъ—**4** руб. На полгода—**2** руб. На три мѣсяца—1...

ЗА ГРАНИЦУ: на годъ—**10** р., на 6 мѣс.—**6** р., на 3 мѣс.—...

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ **въ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ: СПБ., НЕВСКІЙ ... № 68—40**, а также во всѣхъ книжныхъ ... зинахъ, какъ столичныхъ такъ и провинціальныхъ.

(8—8)